სადოქტორო პროგრამა საერთაშორისო ურთიერთობებში

1. **სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:** საერთაშორისო ურთიერთობები
International Relations

2. **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
PhD in International Relations

3. **პროგრამის ხელმძღვანელი:** თორნიკე თურმანიძე, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4. პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 180 ECTS კრედიტი

5. სწავლების ენა: ქართულ - ინგლისური

პროგრამის სასწავლო კომპონენტი ქართულ ენაზე ხორციელდება, თუმცა საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორანტს მოეთხოვება კვლევითი კომპონენტის მოკლე ვერსიის წარმოდგენა ინგლისურ ენაზეც, რადგან არა მხოლოდ შემფასებლები, არამედ სადისერტაციო საბჭოს სექციის წევრებიც არიან უცხოელებიც.

6. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

პროგრამის მიზანი:

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მიზანია შექმნას ახალი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინაში, უზრუნველყოს დოქტორანტების გაძლიერებული მომზადება სოციალური კვლევის მეთოდებში და განუვითაროს მათ სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი უნარები.

პროგრამა ამზადებს საერთაშორისო ურთიერთობების მაღალი დონის მკვლევრებსა და პრაქტიკოსებს, რომლებიც იცნობენ საერთაშორისო პოლიტიკის თეორიულ მიდგომებს, აგრეთვე პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, სოციოლოგიის სფეროში თეორიულ ნააზრევს და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს.

პროგრამის ძირითადი ნაწილი ეთმობა კვლევას, ამასთანავეე მოიცავს სასწავლო კომპონენტს, და ისახავს შემდეგ ამოცანებს:

- სტუდენტთა სადოქტორო კვლევის ხელშეწყობა და განვითარება;
- საერთაშორისო ურთიერთობებში თეორიული ცოდნის გაღრმავება და სრულყოფა, ახალი ცოდნის გენერირება;
- აკადემიური სწავლების/პედაგოგიკის უნარების განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი გრძელდება სულ მცირე სამი სემესტრი და მოიცავს: სემინარებს კვლევის დიზაინის შესახებ (ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია, პროგრესზე მუშაობის სემინარები), დისციპლინისთვის დამახასიათებელი ძირითადი სემინარები და აკადემიური პრაქტიკის სემინარები (სწავლებისა და ხელმძღვანელობის პრაქტიკა, კვლევის მენეჯმენტი, აკადემიური სტატიის წერა, საგრანტო განაცხადის წერა).

სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება და ანალიტიკური სამუშაოს შესრულება საერთაშორისო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, ასევე, პროფესიული სამუშაოს შესრულება სახელმწიფო და დიპლომატიურ სამსახურში, საზოგადოებრივ სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში და უმაღლეს სასწავლებლებში დისციპლინის სწავლება უახესლი მეთოდოლოგიების გამოყენებით.

ა)ცოდნა და გაცნობიერება:

საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის დამთავრების შედეგად სტუდენტები მიიღებენ უახლეს მიღწევებზე დამყარებულ, გაღრმავებულ ცოდნას დისციპლინაში, ექნებათ უნარი განახორციელონ დისციპლინაში დაგროვილი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილების კრიტიკული ანალიზი და მიღებული გამოცდილება ეფექტურად გამოიყენონ საერთაშორისო მასშტაბით კვლევისა და ცოდნის გავრცელებისათვის, როგორც სამეცნიერო პუბლიკაციების, ასევე აკადემიური სწავლების პრაქტიკის მეშვეობით.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს:

- დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს აკადემიური კვლევა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში;
- ეფექტურად წარმოადგინოს საჯარო პრეზენტაციები ჩატარებული კვლევის შესახებ;
- დისციპლინაში განხორციელებული კვლევა გამოაქვეყნოს სამეცნიერო ნაშრომის სახით საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალში;
- მოამზადოს ახალი სასწავლო სალექციო კურსი და განახორციელოს მისი სწავლება უ ახლესი მეთოდოლოგიების გამოყენებით.

გ) დასკვნის უნარი

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დისციპლინაში არსებული ცოდნის სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; კრიტიკულად შეაფასონ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მიდგომები, თეორიულ ცოდნაზე და კვლევის მეთოდოლოგიურ უნარებზე დაყრდნობით წარმოადგინონ საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის გზები და საშუალებები.

დ) კომუნიკაციის უნარი:

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ თავიანთი მოსაზრებები და კვლევის დასკვნები სათანადო ფორმით მიაწოდონ საზოგადოებასა და სამეცნიერო წრეებს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი სახით, ქართულ და ინგლისურ ენაზე. მათ შეეძლებათ თავისუფლად აწარმოონ თეორიული დისკუსია სფეროში მომუშავე სპეციალისტებთან საერთაშორისო მასშტაბით; მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში; დამოუკიდებლად მიაღწიონ საკუთარი მოსაზრებებისა და კვლევის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასა და აღიარებას; პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტებს გახდნენ საერთაშორისო აკადემიური ქსელის წევრები.

ე) სწავლის უნარი:

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ მოახდინონ ცოდნის სინთეზი და ახალი ცოდნის გენერირება; დამოუკიდებლად შეადგინონ აკადემიური სასწავლო პროგრამა, სახელმძღვანელოს სახით მოამზადონ ახალი სასწავლო სალექციო კურსი და განახორციელონ მისი სწავლება ახალი მეთოდოლოგიების გამოყენებით. დოქტორანტურის კურსდამთავრებულებმა დამოუკიდებლად უნდა მოახერხონ მიღებული ცოდნის გავრცობა და გადაცემა.

ვ) ღირებულებები:

პროგრამის კურსდამთავრებულებს ჩამოუყალიბდებათ აკადემიური პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წინაშე; გამოუმუშავდებათ კრიტიკული დამოკიდებულება ანალიტიკურ სტატიებსა, სამეცნიერო ნაშრომებში, ა.შ. არსებული მიკერძოებების მიმართ. სადოქტორო კურსის ძირითადი მიზანი სამეცნიერო ღირებულებებისადმი პატივისცემის გაღვივებაა, რომლებიც მოიცავს სამეცნიერო ეთიკის დაცვას, პლაგიატის გამორიცხვას, კვლევის ობიექტის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გათავისებას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:

წინამდებარე სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დაიკავონ აკადემიური პერსონალის თანამდებობები (ასისტენტი, ასოცირებული, ან სრული პროფესორი) უმაღლეს სასწავლებლებში და წარმართონ სწავლება საერთაშორისო ურთიერთობების, ან პოლიტიკური მეცნიერების პროგრამებში სამივე საფეხურზე: ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. მათ აგრეთვე შეეძლებათ იმუშაონ უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობებზეც. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გაწიონ საერთაშორისო ურთიერთობებში კვალიფიციური ექსპერტის სამუშაო როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე და იმუშაონ სამთავრობო, ან არასამთავრობო ორგანიზაციებში, დაგეგმონ და განახორციელონ მაღალი ხარისხის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა და შეაფასონ სხვა მეცნიერებების მიერ ჩატარებული კვლევები.

7. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ ან/და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. მაგისტრის ხარისხი "საერთაშორისო ურთიერთობებში" ან/და „დიპლომატიასა და საერთაშორისო პოლიტიკაში" პროგრამისთვის პრიორიტეტულია.
- ინგლისური ენის ცოდნა - C1 დონე - აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს მისაღები გამოცდა თსუ-ს ენების ცენტრში ან წარმოადგინოს ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი (TOEFL IBT 61, IELTS 5, ან რომელიმე სხვა საერთაშორისო ტესტი. იხილეთ თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #25/2011 დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ, დანართი #2). აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამები) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

მიღების პროცედურა:

გარდა უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი სააპლიკაციო პაკეტისა, აპლიკანტებმა დამატებით უნდა წამოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. სამოტივაციო წერილი (აპლიკანტებმა უნდა აღწერონ საკუთარი აკადემიური და პროფესიული გამოცდილება, განიხილონ კარიერასთან დაკავშირებული სამომავლო მიზნები და ნათლად ახსნან თუ რატომ სურთ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლა. მათ ასევე უნდა მოიხსენიონ საკითხი, რომლის კვლევაც სურთ).

2. წერილობითი ნამუშევრის ნიმუში (კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ათგვერდიანი ნიმუში. განხილული საკითხები დაკავშირებული უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობებთან ან სოციალური მეცნიერებების სხვა საკითხებთან)

3. წიგნის ერთგვერდიანი მიმოხილვა (აპლიკანტებმა უნდა მიმოიხილონ ნებისმიერი წიგნი საერთაშორისო ურთიერთობებიდან, რომელიც მათ ბოლო დროს წაიკითხეს. მათ უნდა აღნიშნონ რას ეხებოდა წიგნი, რა ისწავლეს მისგან და რატომ მოეწონათ ან არ მოეწონათ წიგნი)
4. სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი) *(იხ. დანართი)*

8. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:

სადოქტორო პროგრამა მოიცავს **180 კრედიტს**. მათ შორის, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, კვლევით კომპონენტს – 140 კრედიტი.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (40 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - 25 კრედიტი

- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები -არანაკლებ 15 კრედიტისა:

- პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი
- დოქტორანტის სემინარი - 15 კრედიტი
- სხვა სასწავლო კურსები: 5-15 კრედიტი

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი (140 კრედიტი) გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- I კოლოკვიუმი
- II კოლოკვიუმი
- სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა - 140 კრედიტი

კოლოკვიუმი I და II ფასდება ქულების გარეშე შემდეგნაირად:

summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი(შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს)
Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

პროგრამის სტრუქტურა

#	კურსი/სემინარი	საკონტაქტო საათები	კრედიტი (ECTS)	პერიოდი	კომენტარები
პროგრამის სასწავლო კომპონენტი					
I სემესტერის სავალდებულო კურსები					
1.1	სწავლების მეთოდები	30	5	I სემესტრი	საუნივერსიტეტო სავალდებულო
სავალდებულო კრედიტების რაოდენობა I სემესტრში			5		
II სემესტრის სავალდებულო კურსები					

2.1	დოქტორანტის სემინარი - კვლევითი პროექტის დაცვა		15	II სემესტრი	სწავლების მეთოდოლოგია
სავალდებულო კრედიტების რაოდენობა II სემესტრში			15		
III სემესტრის სავალდებულო კურსები					
3.1	პროფესორის ასისტენტობა		5	III სემესტრი	საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი. საბაკალავრო ან სამაგისტრო დონეზე სემინარების, პრაქტიკუმების გაძღოლა; შუალედური და საგამოცდო საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა.დოქტო რანტის მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე მზადდება ანგარიში(ფორმა #3)
სავალდებულო კრედიტების რაოდენობა III სემესტრში			5		
არჩევითი კურსები (სავალდებულოა მინიმუმ 15 კრედიტის დაგროვება)					
5.1	კლასიკური ტექსტები საერთაშორისო ურთიერთობებში	30	5	I, II ან III სემესტრი	სპეციალობის საკითხთან დაკავშირებული სემინარი
5.2	კვლევის დიზაინი - კვლევითი კითხვის შერჩევა და დასმა, მეთოდოლოგიის შერჩევა და კვლევითი პროექტის წერა	15	5	I სემესტრი	კვლევის მეთოდოლოგია
5.3	თანამედროვე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში	30	5	I, II ან III სემესტრი	სპეციალობის საკითხთან დაკავშირებული სემინარი
5.4	სხვა საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები		15	I, II ან III სემესტრი	საუნივერსიტეტო არჩევითი კურსი
კრედიტების რაოდენობა სასწავლო კომპონენტში			40		
კვლევითი კომპონენტი					

6.1	კოლოკვიუმი I			IV სემესტრი	დოქტორანტის კანდიდატად დამტკიცება (ხელმძღვანელის დასკვნის საფუძველზე კვლევითი პროექტის დაცვისა და დისერტაციის პირველი და/ან მეორე თავების შეფასების შესახებ)
6.2	კოლოკვიუმი II			V სემესტრი	დისერტაციის დარჩენილი ნაწილიდან ერთი ან ორი თავის წარდგენა
6.3	სადოქტორო ნაშრომის აპრობაცია				
6.4	სადოქტორო ნაშრომის დაცვა		140	VI სემესტრიდან	
კრედიტების რაოდენობა კვლევით კომპონენტში			140		
კრედიტების საერთო რაოდენობა			180		

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტების შეფასების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის წესდებასთან. სტუდენტი ყოველ საგანში ფასდება ECTS–ის სისტემით (კრედიტის მინიჭების საფუძველზე), 100-ქულიანი სისტემით (შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი 100 ქულაა). შეფასების მეთოდებით ადექვატურად მოწმდება პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. შეფასებისას გამოყენებულია მრავალფეროვანი კომპონენტები.

შეფასების სისტემა		
A	91 -100	ფრიადი
B	81 -90	ძალიანკარგი
C	71 -80	კარგი
D	61 -70	დამაკმაყოფილებელი
E	51 - 60	საკმარისი
FX	41 - 50	ვერჩააბარა, სტუდენტსეძლევასაბოლოოგამოცდისერთხელგადაბარებისუფლება შედეგის გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში
F	0 – 40	ჩაიჭრა, სტუდენტმაკრედიტისმიღებისთვისთავიდანუნდაგაიაროსკურსი

გათვალისწინებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანება, რომლის მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX- ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.“

საბოლოო ქულის ფორმირება ხორციელდება შემდეგი წესით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	შეფასება	შეფასების კვალიფიკაცია	შეფასების GPA
91–ზე მეტი	(A) „ფრიადი“	დადებითი	4.0
81 – 90	(B) „ძალიან კარგი“	დადებითი	3.0
71– 80	(C) „კარგი“	დადებითი	2.0
61 – 70	(D) „დამაკმაყოფილებელი“	დადებითი	1.0
51 – 60	(E) „საკმარისი“	დადებითი	0.5
41 – 50	(FX) „ვერ ჩააბარა“	უარყოფითი	0.0
40 და ნაკლები	(F) „ჩაიჭრა“	უარყოფითი	0.0

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად.

ფრიადი (summa cum laude)	შესანიშნავი ნაშრომი
ძალიან კარგი (magna cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
კარგი (cum laude)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება –
საშუალო (bene)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
დამაკმაყოფილებელი (rite)	შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს –
არადამაკმაყოფილებელი (insufficienter)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს
სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone)	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული დისერტაციის წარდგენის საშუალება.
სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში სტუდენტი კარგავს იგივე დისერტაციის წარდგენის უფლებას.

9. **სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

პროგრამის სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკით, რომელიც გამიზნულია სპეციალურად სოციალური მეცნიერებებისთვის; მსგავსი ტიპის ბიბლიოთეკები მცირე რაოდენობით თუ მოიპოვება საქართველოში. აღნიშნული ბიბლიოთეკა გამოიყენება როგორც თსუ-ს სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის მიერაც. პროგრამის სტუდენტებს ასევე უფლება აქვთ ისარგებლონ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე არსებული კომპიუტერული ტექნიკით.

10. **პროგრამაზე შესაძლებელია ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 5 დოქტორანტის მიღება**

11. **საკონტაქტო პირი:**

თორნიკე თურმანიძე
მობ.: 577 52 83 00
tornike.turmanidze@tsu.ge; tornike_t@hotmail.com

კონსტანტინე შუბითიძე
konstantine.shubitidze@tsu.ge 558 20 83 10

დანართი

განაცხადის ფორმა

სადოქტორო -კვლევითი პროექტის გეგმა (პროსპექტუსი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სახელი, გვარი:
სადოქტორო პროგრამა:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

ა) საკვლევი თემა:
(განსაზღვრეთ საკვლევი თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

ბ) კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ან/და ჰიპოთეზები (საჭიროების შემთხვევაში).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150

გ) კონცეპტუალური/თეორიული ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა:
(წარმოადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც განსაზღვრავს საკვლევი თემის შესახებ არსებულ ცოდნას და ახალი ცოდნის შექმნის საჭიროებას).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 500

დ) მეთოდოლოგია და კვლევის განხორციელების ეტაპები:
(აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებით იქნება მიღწეული კვლევის მიზანი. სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400
ხელმოწერა:

თარიღი: